



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### ერთი მსახიობის თეატრი



ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო“, შეიქმნა 1987 კ. მახარაძის ინიციატივითა და თაოსნობით. თეატრი თავდაპირველად არსებობდა დარეკანის სასახლის „სამღლოველო საჩინოში“, შემდგომ ბინა დაიდო ვ. ანჯათარიძისა და მ. ჭიაურელის კერძო სახლ-მუზეუმში. ე. მ. თ. „ვ.“ აგებული იყო ლიტ. თეატრის პრინციპზე (პუბლიცისტური, შემეცნებითი სპექტაკლების ავტორ-შემსრულებელი - კ. მახარაძე). დაიდგა მონოსპექტაკლები: „რაც მტრობას დაუნგრევია...“ (1987, მეტეხის თეატრის სცენაზე; ტექსტის თანაავტორი - ა. ბაქრაძე), „გამოიღვიძე, ქნარო“ (1988, ტექსტის ავტორი - კ. აჭიაშვილი), „ბაგრატიონები“ (1990, ტექსტის ავტორები: კ. მახარაძე და ლ. სანიკიძე); დაიდგა საავტორო სპექტაკლები: მ. ჭინორიას „და სიმღერით ვკვდები“ (1995) და „ზღვა ძალიან ღელავს“ (1996), გ. რეიმსპაგენის „კაპრიჩიო“ ნ. ბურდულის მონაწილეობით (1996), „ლაზიერის გამბიტი“ (1997, ბ. ფოცხიშვილის სპექტაკლი მ. ფოცხიშვილის ლექსების მიხედვით), მ. სანტანელის „დედა-დედოფალი“ ს. ჭიაურელისა და მ. ჭინორიას მონაწილეობით (1998, რეჟ. თ. კოშკაძე), „სტალინი“ (1998, ავტორი კ. მახარაძე), „კარმენი“ მ. ჭანაშიას მონაწილეობით (1999), ნ. ღუმბაძის „მონატრება“ (რეჟ. კ. მირიანაშვილი, 2000), უ. შექსპირის „ჰამლეტის“ მიხედვით „დროთა კავშირი დაირღვა“ (2000, მ. ჭინორიას საავტორო სპექტაკლი). ე. მ. თ „ვ-ში“ ენყობოდა შეხვედრები ხელოვნ. გამოჩენილ მუშაკებთან, შემოქმედებითი საღამოები. თეატრი საგასტროლოდ იყო თელ-ავივსა და აშდოდში (ისრაელი, 1988), აგრეთვე ერთი მსახიობის თეატრების ფესტივალებზე: კიევში (1996, სპექტაკლი „ბაგრატიონი“ დაჭილდოვდა გრან-პრით), კიშინიოვში (1999, სპექტაკლი „კარმენი“; მსახიობმა მ. ჭანაშიამ მიიღო ფესტივალის უმაღლესი ჯილდო - „ოქროს

օղբո”).

